გაზეთის ფასი:

| | | |
|---|---|---|
| 12 თვით | . . | 10 მ. — კ. |
| 11 ,, | . . | 9 ,, 50 ,, |
| 10 ,, | . . | 8 ,, 75 ,, |
| 9 ,, | . . | 8 ,, — ,, |
| 8 ,, | . . | 7 ,, 25 ,, |
| 7 ,, | . . | 6 ,, 50 ,, |
| 6 ,, | . . | 6 ,, — ,, |
| 5 ,, | . . | 5 ,, 50 ,, |
| 4 ,, | . . | 4 ,, 75 ,, |
| 3 ,, | . . | 3 ,, 50 ,, |
| 2 ,, | . . | 2 ,, 75 ,, |
| 1 ,, | . . | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 295 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 295

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.


დღესასწაულების გამო შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 28 დეკემბერს.

24 დეკემბერს, დილის 6 საათზედ, ტფილისში გარდაიცვალა

## ექიმი ალექსანდრე ტარსაიძე

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ **მეუღლე, შვილები, და** და **ძმა** განსვენებულისა. პანაშვიდი კვირას, 26 დეკემბერს, საღამოს 7 საათზედ, განსვენებულის სადგომში (ყორყანოვის ქუჩა, საკ. სახლ.); მიცვალებულს გაასვენებენ 27 დეკემბერს, დილის 10 საათზედ კალოუბნის ეკკლესიაში, საიდგანაც წაასვენებენ დასაკრძალავად კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზედ. (1—1)

**კ**ვირას, მომავალის წლის იანვრის 9, ტფილისის სასოფლო საეურნეო ბანკის დარბაზში, დილის 12 საათზედ, დანიშნულია პირველი საგანგებო კრება ტფილისის ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების დამფუძნებელ წევრთა შემდეგის საგნების განსახილველად:

1) საზოგადოების წევრთა არჩევანი.

2) საზოგადოების გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევანი.

3) დადგენა საწევრო გადასახადის რაოდენობისა.

(5—3)

დამზღვევი საზოგადოება **„როსსია“** აზღვევს ფრიად სასარგებლო პირობით

## მზითევს გასათხოვარ ქალთათვის,
## სტიპენდიას ბავშვებისათვის,
## თანხებს სიბერის დროს მისაცემად,
## თანხებს იმ შემთხვევისათვის, თუ დამზღვევნი გარდაიცვლებიან,
## სიცოცხლეშივე სასარგებლოდ,
## ქვრივობის პენსიას.

1 იანვრისათვის **1904** წლისა დაზღვეულ იქმნა **85,142** ქალი და კაცი **167.975,000** მანეთისა.

დაწვრილებით პირობების შეტყობა შეიძლება საზოგადოების მმართველობაში (**პეტერბურგში**, Морская № 37), განყოფილება ქ. ტფილისში (სერგიევის ქუჩა, სახლი № 6) და აგენტებთან იმპერიის ყველა ქალაქში.

ტელეფონი № 63. წარმოდგენა № 11 (აბონემენტის გარეშე).

## სახაზინო თეატრი

ოთხშაბათს, 29 დეკემბერს, 1904 წ.

✦ **ბენეფისი ნინო პ. ჩხეიძისა** ✦

ქართულ დრამატიულის დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

თავ. ა. ი. სუმბათაშვილის ცნობილი პიესა

# ლალაჩი

დრამა-ლეგენდა 5 მოქმ., თავ. ა. ი. სუმბათაშვილისა, თარგ. კ. მესხის-მიერ.

**მონაწილეობას მიიღებენ**: ქ-ნნი ტ. აბაშიძე, გაბუნია-ცაგარელი, ჩხეიძე, კარგარეთელი, ნებიერიძე ღ სხვ.; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, მესხი, გუნია, სვიმონიძე, ივანიძე, შალიკაშვილი, ქორიძე, იორდანაშვილი, საფაროვი ღ სხვ.

სეზონის ბილეთი გაუქმებულია. ✦ **დასაწყისი საღამოს 8 საათ.**

**მზადდება წარმოსადგენად**: «ქრიქინა», «იულიოს კეისარი», «რუი-ბლაზი», აზიანის ახალი პიესა «სამშობლოს ბურჯნი» და სხვ.

ამხანაგობის დირექცია. მორიგი რეჟისორი კ. მესხი.

**ალექსი-მესხიშვილი**, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სდოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

წარმოდგენა № 5.

## ვეტცელის თეატრი
**(მიხეილის პროსპექტი)**

კვირას, 26 დეკემბერს,

✦ **ბენეფისი** ✦

ი. ივანიძისა და

კ. შალიკაშვილისა

ქართულის დრამატიულის დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

# და-მმა

ისტ. დრამა 5 მოქმედ., ვალ. გუნიასი.

**მონაწილეობას ღებულობენ**: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, ნ. ჩხეიძე, და სხვ.; ბ-ნნი გუნია, სვიმონიძე, ივანიძე, შალიკაშვილი, საფაროვი, სარჯველაძე, იორდანაშვილი, ქივიძე და სხვანი.

ადგილების ფასი: 1 რიგი—1 მან. 50 კ., 2, 3—1 მ. 25 კ., 4, 5 და 6—1 მან., 7, 8—80 კ., 9, 10—70 კ., 11, 12—60 კ., 13, 14 და 15—50 კ. ბალკონზედ ფეხზე დგომა—30 კაპ.

დასაწყისი 8 საათზედ.

ადმინისტრაცია ამხანაგობისა.

მორიგი რეჟისორი ვ. აბაშიძე.

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ**,—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**ბძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**გაბაშვილი გრიგოლ**,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9 საათიდამ საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

**ვ. ს. მუსხელაშვილი**—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 ს., გარდა სამშაბათისა.

**დიასამიძე ალექსანდრე**,—ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

## სახაზინო თეატრი

ანტრეპრიზა საიმპ. თეატრის არტისტის **ლ. დ. დონსკოისა.**

✦ სადღესასწაულო რეპერტუარი ✦

1904 წლის 26 დეკემბრიდგან 1905 წლის პირველ იანვრამდე

კვირას, 26 დეკემბერს, ორი წარმოდგენაა: დილით იაფ-ფასიანი. წარმოდგენილი იქმნება დილით: **ფაუსტი**, ოპერა 5 მოქმ., მუსიკა ჰუნოსი; საღამოთი ლ. დ. დონსკოის მონაწილეობით—**„პიკოვაია დამა“**, ოპერა 3 მოქ. 7 სურ., მუსიკა ჩაიკოვსკისა.

ორშაბათს, 27 დეკემბერს, დილით იაფ.-ფას. წარმ., წარმ. იქმნ.—**„ევგენი ონეგინი“**, ოპერა 3 მოქმ. 7 სურ., მუსიკა ჩაიკოვსკისა საღამოთი—**„სნეგუროჩკა“**. მოქმ. მუსიკა რიმსკი კორსაკოვისა.

სამშაბათს, 28 დეკემბერს, საღამოს წარმოდგენა ლ. დ. დონსკოის მონაწილეობით—**„ნერონი“**, 4 მოქმ., მუსიკა რუბენშტეინისა.

ოთხშაბათს, 29 დეკემბ.—ქართულ დრამ. დასის წარმოდგენაა.

ხუთშაბათს, 30 დეკემბრს, საღამოს წარმოდგენა ლ. დ. დონსკოის მონაწილეობით—**„მანონი“**, ოპ. 4 მოქმ. მმასენესი.

პარასკევს, 31 დეკემბერს—1) **„სევილიელი დალაქი“**, ოპ. 3 მოქმ., მუსიკა როსსინისა, 2) „ახალი წლის შეხვედრა და მასკარადი“.

(ვისაც ლოჟებისა, პარტერისა, ამფითეატრისა და ბალკონის მე-2 და მე-3 იარუსის ბილეთები ექმნებათ აღებული, შეუძლიანთ მასკარადზედაც დარჩნენ).

შაბათს, 1-ლ იანვარს 1905 წ., მე-11 «გალა» წარმოდგენა. წარმოდგენილი იქმნება **„ბოკაჩჩიო“**, კომიკური ოპერა 3 მოქმ., მუსიკა ზუპპესი.

დილის წარმოდგ. დაიწყება $11^{1}/_{2}$ საათ. ✦ საღამოს წარმოდგ. დაიწყება 8 საათ.

**ბილეთები ამ თავითვე იყიდება,**

გამგე ა. კელლერი.

ტფილისი, 25 დეკემბერი.

სარწმუნოების თავისუფალი აღსარება, ანუ როგორც ეხლა იტყვიან, სინიდისის თავისუფლება ისეთი საუნჯეა ადამიანის სულიერის ცხოვრებისათვის, რომ უიმისოდ ადამიანი ჰეშმარიტს სატანჯველშია.

ევროპაში დიდი ხანია, თუმცა დიდის სისხლის ღვრის შემდეგ, სინიდისის თავისუფლებას დაედო მტკიცე საფუძველი. მაგრამ რუსეთს ამ შემთხვევაში ბედნიერი ხვედრი ეწია, რომ სარწმუნოების თავისუფალი აღსარება ფეხს იკიდებს მშვიდობიანობის გზით. ამის ნიშანი მრავალია. აუარებელნი მწვალებელნი რუსეთისანი უექველია, თუ მათი მწვალებლობა ზნეობის წინააღმდეგს არაფერს შეიცავს, თავისუფალნი შეიქმნებიან ისე იწამონ და ილოცონ, როგორც მათი სარწმუნოება ითხოვს.

თუ კი ასეთი ბედი მოელის მწვალებლებს, მაშ, ქართველთა მართლმადიდებელი ნაწილი რად უნდა იყოს ისე დამცირებული, აბუჩად აგდებული, რომ თავისი სარწმუნოება თავისუფლად ქართულად ვერ აღიაროს, თავისი ეკკლესია, სამოციქულო და ავტოკეფალი, მისი ნუგეშის-მცემელი ვერ იყოს და თავისი მღვდელ-მთავარი ქართულ ენაზედ ღვთის-მსახურებისათვის მოუცილელი იქმნას.

არა თუ შობა-ახალწელიწადი-წყალკურთხევა და აღდგომა, არამედ ხშირად საუფლო უქმეები და კვირა დღეებიც ისე გადის, რომ მსასოებელი ქართველი ქართულად ღვთის-მსახურების ბრწყინვალებას, ქართველის ეპისკოპოსის ქართულად ღვთის მსახურებას ვერ ისმენს.

საქართველოში ოცდა თექვსმეტი საეპისკოპოსო კათედრა იყო, ორი კათალიკოზი იჯდა და ილვწოდა აუარებელი ბერ-მონოზნობა, რომელნიც არა ნაკლებ აფასებდნენ ტაძართა დიდ-მშვენიერებას და ღვთის მსახურების ბრწყინვალებას. მაშასადამე, დღევანდელი სიღარიბე, სიბნელე ქართულად ღვთის მსახურებისა, ჩვენის აზრით, დამამცირებელია ივერიის სამოციქულო და ავტოკეფალის ეკკლესიისა და მორწმუნეთა სასოების შეურაცხმყოფელია. ამიტომ იმედს არ ვკარგავთ, რომ საქართველოს ექზარხოსი, რომელიც მოადგილედ ითვლება ივერიის კათალიკოზისა, მიაქცევს ყურადღებას მართლმადიდებელ ქართველთ ქართულად სარწმუნოების აღსარების საქმეს და განკარგულებას მოახდენს რომ ქართულად ღვთის მსახურებას ძველებური ბრწყინვალება აღდგენოდეს სამღვდელ-მთავრო წირვა-ლოცვის ბეჯითად შემოღებით არა თუ უდიდეს დღესასწაულებში, არამედ, კვირადღეობითაც-კი...

## ომის ამბები
### დეპეშები და წერილები.

—

პორტ არტური. დეპეშიდგან სჩანს, რომ ომის დასაწყისს პორტ არტურში 35,000 ჯარის კაცი ყოფილა. ეხლა დაუტყვევებიათ 25,000. 10,000 ბრძოლაში დახოცილა და ავადმყოფობას უმსხვერპლია. ამათ გარდა პორტ არტურში ყოფილა 10,000 კერძო მცხოვრები.

—

«ცენტრალ ნიუს.»-ს დეპეშით ატყობინებენ: **23** დეკემბრს, დილის 9 საათზედ პორტ არტურის დამცველნი, ჯარის კაცნიცა და აფიცრებიც მტრედის ყურესთან, სოფელ იახუტზაიში შეიკრიბნენ. იქ გემებზედ დასხდებიან და ჯერ დალნიში წავლენ, მერე კი იაპონიაში.

—

«ბერლინერ ტაგებლატ»-ის კორესპონდენტი ვაშინგტონიდგან იუწყება, არაფრიდგან არა სჩანს, რომ რუსეთს ზავის ჩამოგდება უნდოდეს. რუსეთის ელჩმა, გრაფმა დასსინიმ განაცხადა, რომ რუსეთი ომის გათავებას არ აპირობს და ამიტომ შეერთებულ შტატების ცდა ზავის ჩამოგდებისა უნაყოფოდ დარჩება.

—

ფლოტის დაუხმარებლად პორტ არტურის დაბრუნება შეუძლებელია,—სწერს «ნ. ფ. პრ.»-ეს სამხედრო მიმომხილველი. პორტ არტურის ასაღებად ჯერ ძინჯოუს აღებაა საჭირო. იაპონელებმა ძინჯოუ იმიტომ აიღეს, რომ ფლოტი ეხმარებოდა; იაპონელებმაც ამით ისარგებლეს, ზღვაში შეტოპეს და რუსების პოზიციას გვერდიდგან მოექცნენ. მომავალში, თუ რუსებმა როდესმე მიაღწიეს ძინჯოუს, საქმე სულ სხვანაირად დატრიალდება. ძინჯოუს ყელი სიგანით 3 ვერსია. რუსებმა ჯერ ეს მანძილი უნდა გაიარონ და იაპონელთა კლდიან პოზიციებზედ იერიში მხო-

ლოდ ამის შემდეგ უნდა მიიტანონ. ყურეს აღმოსავლეთიდგანაცა და დასავლეთიდგანაც ზღვა არტყავს. იერიშით წასულ რუსებს შუბლიდგან იაპონელთა ტყვიის მფრქვეველი, შრაპნელი, „შიმოზე“ და, რაც უფრო ყველაზედ უარესია, იპონიის ჯარის კაცი დაუხვდება. ორივე ფრთიდგან იაპონიის ფლოტი დაუშენს ზარბაზანს და ამ სამ ვერსის მანძილზედ ისეთი კორიანტელი დატრიალდება და ყუმბარებისა და ტყვიის ისეთი სეტყვა წამოვა, რომ ფრინველიც ვერ გადაფრინდება. ძინჯოუს პოზიციებს რუსების ზარბაზნები ვერ დაანგრევს, რადგან რამდენი ზარბაზანიც უნდა მიზიდონ რუსებმა, სულ ერთია, იაპონიის ფლოტი ხელადვე ჩააჩუმებს. ამ რიგად, რუსებმა მანჯურიაც რომ უკანვე დაიბრუნონ და კორეიაც დაიპყრონ (ფლოტის დაუხმარებლად კორეის დაპყრობაც შეუძლებელია), კვანტუნის ნახევარ კუნძულს ფლოტის დაუხმარებლად მაინც ვერას გზით ვერ დაიბრუნებენ (ნ.).

—

«ნოვ. ობ.»-ს პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ: აქ სიტყვა «პორტ არტური» ყველას პირზედ აკერია.

—

**მანჯურიაში.** იმავე გაზეთს დეპეშით ატყობინებენ: «ნოვოე ვრემია» სწერს: «ჩვენ ნამდვილად გავიგეთ, რომ მუკდენამდე ყველა გაგზავნილი საქონელი და ბარგი არ ჩადის. ყველაფერს, რასაც რუსეთიდგან მუკდენში იღებენ, ქურდბაცაცების კვალი ატყვია. კალათები ან ცარიელია, ან და ნაგვით არის სავსე. ასი ყუთის მაგივრად დიდის ძებნის შემდეგ თორმეტ ყუთს ძლივს პოულობენ. ხშირად იკარგება მანჯურიაში გაგზავნილი საქონლით დატვირთული ვაგონები და ძვირფასი საქონელი. ყველა ეს იმიერ ბაიკალისა და აღმოსავლეთ ჩინეთის გზაზედ ჰხდება. ჯარში წერილები არ მიდის და დეპეშებიც მთელის კვირით მოგზაურობსო.

—

ნემიროვიჩ დანჩენკო საინტერესო სცენას ასწერს: «რუსის ჯარის კაცს დაჭრილი იაპონელი მოჰყავს.

— სად დაიჭირე?—ვეკითხები მე

— ასე რომ, დავიჭირე.

— შენ თვითონვე დასჭერი?

— დიაღ, ფეხი ხიშტით დაუზიანე.

— გებრალება, განა?

— მაშა... ესეც თავის ნებით არ არის აქ ჩამოსული. ჩემი ძმაა—სალდათია. მხოლოდ ის არის, რომ სხვანაირი ფიცი აქვს მიცემული.

იაპონელს ეცინება, რომ რუსთან ერთად ხელი-ხელ ჩართული დასეირნობს. ცოტა ხანს მიყურა, მერე მშვენიერი კბილები გამოაჩინა, ლაპარაკი დაიწყო და რუსს გულში თითსა სცემდა და რაღაცას მიხსნიდა.

ორივენი წავიდნენ. მეც უკან გავყევი.

— შენ, ჩემო ძმაო, უნდა დაგასვენო.—ეუბნება იაპონელს რუსი. თბილ ოთახში შეგიყვან, ლეიბზედ დაგაწვენ. იქ თბილა, სიწყნარეა, შენთვის დაიძინებ, შენ გვერდით კი სათნოების და იქნება. ან წყალი, ან საჭმელი მოგინდება თუ არა, მაშინვე მოგაწვდის.

იაპონელს, რასაკვირველია, არაფერიც არ ესმის, მაგრამ თავის უვიცობის გამოჩენა არ უნდა და როცა რუსი გაჩუმდება ხოლმე, ლაპარაკს იწყობს, ხელებს იქნევს, თავის მტერ-ამხანაგს რაღაც საინტერესო ამბავს უამბობს და ამასთან რაღაცაზედ უთითებს, გულში ხელს იცემს, გაცხარებით ლაპარაკობს, თავს იქნევს, თვალებს ხუჭავს და მხიარულად კისკისებს.

— აი, აი! აკი გეუბნეოდი!—სერიოზულად ეუბნება რუსი. «კაშა»-საც მოგცემთ, სუპსაც, ხორცსაცა და ყველაფერსაც. ასე რომ კარგად იქნება. მაშ! აკი გეუბნეოდი!

— გესმის მაგით ლაპარაკი?— ვეკითხები რუსსა.

— როგორ არა! ძალიან კარგად.

მე ნაცნობს შევხვდი, ერთი პაპიროსი გამოვართვი და იაპონელს მივეცი.

— დაიცა, დაიცა! ეგრე არა, ეგრე არა!— ესარჩლება რუსი.— შენ, ჩემო ძმაო, ეხლა ჩემი ხარ. ჩვენ ტყვიამა და ხიშტმა დაგვაძმობილა.

რუსმა სერიოზულად და დინჯად მოუკიდა პაპიროსსა და იაპონელს პირში ჩაუდო, თითქოს იაპონელი თავის მძლავრისა და დიდის ხელებით ამას ვერ მოახერხებდაო. მერე ორივენი ლაპარაკითა და ხელების ქნევით ისევ გზას გაუდგნენ (რ. ს.).

—

**რუსის ცხენოსანი ჯარი მანჯურიაში.** „რუს. ლის.“-ის სამხედრო მიმომხილველი, გრაფი ფონ-პფეილი სწერს: ეხლანდელ ომში ცხენოსანი ჯარი შესაფერის ენერგიით ვერ მოქმედებს. ცხენოსან ჯარს რუსეთში მშვიდობიანობის დროს და ომშიაც მეტის მეტად უფრთხილდებიან, თუმცა კი ცხენოსნის სიცოცხლე ქვეითა ჯარის კაცის სიცოცხლეზე ძვირი არ არის. ადგილის მდებარეობას ცხენოსანის ჯარისთვის არავითარი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. ის ჯარი, რომელიც ადგილს გაუფრთხის და ყველგან ვერ იბრძვის, მხოლოდ მეტი ბარგია. ცხენოსან ჯარს ყოველგან კრასნოე სელოს სავარჯიშო მინდორი ხომ არ ექნება!? ცხენოსნებს მეტის მეტად უფრთხილდებოდნენ და გაანებივრესო (რ. ლ).

# ახალი ამბავი

—

**საქართველოს ეგზარხოსი ალექსი** დღეს, 25 დეკემბერს, სწირავს სიონის საკათედრო ტაძარში ტაძრის სამღვდელოების თანამწირველობით.

*** **ექიმი ა. გ. ტარსაიძე.** გუშინ 24 დეკემბერს ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ ტფილისში გარდაიცვალა განთქმული თვალის ექიმი გიორგი ალექსანდრეს ძე ტარსაიძე. განსვენებულს დაჰკრძალევენ 27 დეკემბერ, ორშაბათს, კუკიის სასაფლაოზედ.

*** **საბენეფისო წარმოდგენა.** მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ ხვალ 26 დეკემბერს ვეტცელის თეატრში გაიმართება ქართული წარმოდგენა ჩვენი თეატრის ახალგაზდა მსახიობთა ბ-ნთ ი. ივანიძისა და ვალ. შალიკაშვილის საბენეფისოდ, რომელთაც მხოლოდ წელს მისცეს ბენეფისი. წარმოდგენილი იქმნება ხალხის საყვარელი ისტორიული დრამა ვალ. გუნიასი «და ძმა».

*** **ნინო ჩხეიძის ბენეფისი** ოთხშაბათს, 29 დეკემბერს, ტფ. სახაზინო თეატრში წარმოდგენილი იქმნება ჩვენის ნიჭიერის მსახიობის ქ-ნ ნინო ჩხეიძის საბენეფისოდ თავ. ალ. სუმბათაშვილის ცნობილი დრამა-ლეგენდა «ღალატი» თარგმანი კ. მესხისა. ზეინაბის როლს შეასრულებს თვით მობენეფისე ქ-ნი ნინო ჩხეიძე, როლს ერეკლესას ბ-ნი მ. ქორიძე.

*** **სასჯელის შეცვლა.** მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელმა გენ.-ად. ი. დ. მალამამ სასჯელი შეუცვალა ერევნის გუბერნიისა და მაზრის, სოფ. ილანჩალენის მცხოვრებთ კედამ პოღოსიანცსა და სარიბეგ კასპარიანცს, რომელთაც ჰბრალდებოდათ თავიანთისავე სოფლის მცხოვრებთა საფტრასი, ჰაირაპეტისა და ხათუნი ალექსანოვების ამოხოცვა. ეს საქმე ერევანში განიხილა კავკასიის სამხედრო საოლქო საე ამართლოს დროებითმა განყოფილებამ და ორივეს გადაუწყვიტა ყოველგვარ უფლება უპირატესობათა ჩამორთმევა და სიკვდილით დასჯა. გენერალმა ი. დ. მალამამ სიკვდილით დასჯა სამუდამო კატორღით შეუცვალა და დანარჩენი კი უცვლელად დაამტკიცა. (კავკ.).

*** **«ოტელო» ქუთაისში.** დღეს, 25 დეკემბერს, ქუთაისის თეატრში ბ-ნი ვალ. გუნიას მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება შექსპირის 5 მოქმედებიანი ტრაგედია «ოტელო».

*** **ახალი წიგნი.** ამა წლის ივლისს ქართლ-კახეთის ეპარქიის სამრევლო სკოლების მეთვალყურემ, ბ-ნმა ოდოევმა დაჰბეჭდა სასულიერო მოამბეში წერილი წინააღმდეგ ბ-ნ ი. გოგებაშვილის „Рус. слово“-სი. ამ სახელმძღვანელოს ავტორს დაუწერია ვრცელი პასუხი და ცალკე წიგნად იბეჭდება და გამოვა საახალწლოდ. წიგნს სათაურად აქვს: **Госуд. языкъ въ грузин. начальныхъ школахъ, по поводу рецензіи г. Одоева.**

—

# საქართველო

—

**სოფ. ადძიუბჟა** (აფხაზეთი, კოდორის ნაწილი, სოხუმის ოლქი).

აქაური წვრილმანები.—მოსავალი.—რომანი—სასწავლებლები.— ეკლესია.— კურთხევას ვეღარ მოვესწარით.—უამინდობა.—უგზოობა.

აქ აფხაზები ორას კომლამდე არიან ვაჭრები. მეგრელები, გურულები, თათრები და სხვანი. აგრეთვე არიან რუსეთიდან ჩამოსულნი შეძლე «დაჩნიკები». ამათ აქ ნაყიდ მამულებზე სხვა და სხვა მცენარე გააშენეს. მხოლოდ როგორც ეტყობათ „პაჭიჭებში“, ოცნებანი უქარწყლდებათ და ყოველ წუთს მზად არიან, პირველსავე მოსახერხებელ შემთხვევაში უკუ იქცნენ...

წელს ჭირნახულის სასურველი მოსავალი არ მოგვივიდა. მიზეზი ის არი, რომ თავის დროზე ამინდები ხელს არ გვიწყობდა. გვალვამ ხომ სულ გაამწარა ჩვენი სიცოცხლე. ადგილ-ადგილ, სადაც საჭირო იყო მზიანი, მშრალი დარი, დაჟინებული გადაუღებელი წვიმები იყო. როდესაც სანატრელი იყო წვიმა, მაშინ კი, ნურას უკაცრავად, ისე ძალზედ დაცხა, რომ თქვენი მოწონებული. ჩვენი უპირატესი ცხოვრების სალსარი სიმინდია. ზოგიერთებს ცოტ-ცოტა გვაქვს გაშენებული: ადესის ვაზი, აფხაზური ვაშლი, მსხალი, ნიგოზი, თხილი და სხვა ამისთანა.

ხალხის ქონებრივი მდგომარეობა ძალიან დაქვეითებულია და ცოტა ამაზედაც არის დამოკიდებული, რომ წრევანდელ შემოდგომის ქორწილების დრომ შეუმჩნევლად გაიარა. სამიოდე ჯვარისწერა იყო. ერთს არ ჩაუვლია უხიფათოდ. ერთ ყმაწვილ იმერელს და აფხაზის გოგოს შეჰყვარებია ერთმანეთი და, ბევრის ტრფობის შემდეგ, საქმრო აფხაზის გოგოს პატრონს გამოუტყდა, ასეა ჩემი საქმე და გოგო ცოლად მომეციო. მოგეხსენებათ, აფხაზეთში სიყვარულის გამოცხადებით ვერ შეირთავთ ქალს ცოლად. ქალის პატრონი უარზე დადგა. მაგრამ სიყვარულმა თავისი გაიტანა: ერთ ბედნიერ დღეს «დამწვარმა» დამწველი მოიტაცა...

რასაკვირველია, დიდი ღელვა იყო სიმამრისას, „ვიღაც იმერლის“ ამისთანა თავ-ხედურ საქციელს არ მოელოდნენ. ბევრი მითქმა-მოთქმის შემდეგ, როგორც იყო, მორიგება მოახდინეს და ნება დართულ იქმნა, რომ შეყვარებულნი შეერთებულ იყვნენ ცოლ-ქმრობის კავშირითა.

Հაძიუბჟელები ვართ ორის სასწავლებლის პატრონნი, ერთი სოფლის სამინისტროს სკოლაა და მეორე საეკლესიო სამრევლოა. მაგრამ... მაგარიც ის არი, რომ თავის დანიშნულებას არც ერთი არ ემსახურება. ამ სკოლების შენობები რაღაც ისე მიყუჩებული სდგანან, და ცოცხალი რამ თუ არი შიგ, არ გეგონებათ. მოსწავლე ბავშვები ორივე სკოლაში «ერთ ნახევარი» სულია. ძრიელ გულ-გრილად ეკიდებიან სასწავლებელსა.

ეჭვი არაა, რომ მართლ-მადიდებელთა ქრისტიანეთათვის დიდი რამ არი ღვთის ტაძარი, ნამეტურ ჩვენისთანა მიყრუებულ სოფელში. კაი ხანია აქაურთ სურვილი იყო, რიგიანი (დღემდე უბრალო ფიცრული შენობა იყო) ეკლესია გვქონდა. მაგრამ მას შემდეგ ბევრმა წყალმა და დრომ განვლო, სანამ, ასე თუ ისე, როგორც იყო, ჩვენივე ნაოფლარით (ვ. რ. მაქსიმოვის მემკვიდრეებმა ასი თუმანი შემოსწირეს ამ ეკლესიის ასაგებად) დღეს შევიძინეთ მშვენიერი, კოხტა მოდიდო ეკკლესია. მხოლოდ, ჩვენდა საუბედუროდ, რაღაც გაუგებარი ღვთის წყრომა მოგვევლინა და არ იქმნა ვერ ვეღირსენით ამ ტაძრის კურთხევასა.

ეს მხარე, ეგრედ წოდებული, აბჟუა, თორმეტი სამამასახლისოა და მარტო სოფ. მოქვი ძველებურის საყდრით და სოფ. დრანდის მონასტერი თუ გვჯობნის, თორემ სხვა არ არის ჩვენისთანა ეკკლესიის პატრონი. საყდარი მზად არის რამდენიმე თვეა. ჯერ იყო და დაბრკოლებათ გაგვიხდა ეკკლესიის მოწყობილობა. მაგრამ ეს გასაჭირი დავძლიეთ. უშველოს ღმერთმა მაქსიმოვის მემკვიდრეთა, ქარხნების მსახურებს და მუშებს, რომ თითო-ოროლა გროში არ დაიშურეს ამისთანა წმიდა საქმისთვის. განსაკუთრებით მადლობის ღირსია ქარხნების მმართველი ბ-ნი ს. ნ. ანდრეევი და მისი თანაშემწე, ბ-ნი ა. ი. პოვანი, რომლებმაც გამართეს მოხელეთა შორის საერთო ხელის მოწერა და მოგროვდა კიდეც ოც თუმნამდე. ამ ფულით თითონვე გამოიწერეს სხვა და სხვა საჭირო საეკკლესიო სამკაული, რომელიც უკვე ჩაბარდა აქაურ მრევლის მღვდელს მამა ამბაკუმ თოფურიძეს.

მოხსენებულ ეკკლესიის უკურთხევლობაზე შემდეგი ხმებია სოფლად:

ა) სოხუმის ეპისკოპოსს უთქვამს: როგორც სოხუმ-კოდორის გზა გაშრება— გამოკეთდება, კარგ დარში თითონ ჩამოვალ ეკლესიის საკურთხევლადაო; ბ) ეკლესიის კურთხევისათვის სოფლის საზოგადოებამ უნდა გასცეს ათი თუმანი და, რადგანაც არ გახლავთ, ამიტომ კურთხევის საქმე მივიწყებულიაო; გ) ჩვენს სოფელზე ძალიან გაჯავრებულნი არიან, რადგანაც დროგამოშვებით ქართულ წირვა-ლოცვას ვისმენდით; დ) ეხლა ხან, ჩვენს მოძღვარს ბრძანება მოუვიდა,—ოქმი მოიტანეთ, რომ ეკკლესია ყოველ მხრივ მართლა მოწყობილია და კურთხევის მეტი აღარა აკლია რაო. ეს ბრძანება დაუყოვნებლივ იქმნა შესრულებული. მაგრამ როგორცა სჩანს, ამ უკანასკნელ შემთხვევამაც არ გვიშველა, არსაიდან არ მოსჩანს მახარობელი...

ორიოდე სიტყვა ზემოხსენებულზედაც.

დადგა თუ არა შემოდგომა, ცას მიეცა მრისხანე მუქი ფერი და მორთო გადაუღებელი წვიმა. წარმოიდგინეთ, ცას შეხრილი წარბი ჯერაც არ გაუშლია,— სწვიმს და სწვიმს.

აი ამ მშვენიერ შემოდგომასვე შეუდგნენ გზის კეთებასა (ათის ვერსის მანძილი) სოფ. დრანდიდან მდინარე ბაქარის ხიდამდე. გზის შეკეთება იჯარით გაიცა და, სიმართლე უნდა ითქვას, ყველასგან ცნობილ სინიდისიერ და არა ჩარჩების ხელშია გარდაცემული ეს ყველასათვის საინტერესო საქმე, აგერ რამდენიმე თვეა რაც ამ გზას ადგანან მუშები. მაგრამ... კაცმა თავის თვალით უნდა ნახოს ეს გზა და ისე წარმოიდგინოს, რა გაუვალ ჯოჯოხეთის გზათ გარდაიქცა. სანამ ამ გზის შეკეთებას შეუდგებოდნენ, კარგად თუ ავად, მიმოსვლა მაინც არ იყო შეწყვეტილი და მუდამ დღე ორჯერ, დილიჟან-ლინეიკები დაატარებდნენ მგზავრებს სოხუმიდან კოდორამდე ოცდა ერთის ვერსის მანძილზე. ახლა კი ეს გზა ისე ჩააქცია საზამთროდ შეკეთების დაწყებამა, რომ სოხუმიდან კოდორში ჩამოსვლას ვინც გაჰბედავს, წარმოუდგენელის გმირობის გამოჩენა მოელის... რადგანაც ამ გზაზე სულ ერთიანად ლაფი და ტალახია და ათასი ოღრო-ჩოღრო. ეხლა დღეში ერთხელ დილიჟანი ძლივს დაიარება და ფასად (წინად ღირდა სამი აბაზი) დადებულია კაცის თავზე მანეთ ნახევარი. გზის პირად და ახლო-მახლო მრავალი სოფლებია, რომლის მცხოვრებლებს ამ გზით უხდებათ სიარული, მაგრამ ეხლა სოფლელმა შესწყვიტა მიმოსვლა და, ვგონებთ, მთელი ზამთარი ასე გაუვლელი დარჩეს იმიტომ, რომ მათი ძლოური ცხენებ-ხარებით ამ გზით სიარული ყოვლად შეუძლებელია.

ა. ტ.

—

**სოფ. ტობანიერი.** ნოემბრის 18 აქ დაასაფლავეს 22 წლის ყმაწვილი კაცი დაბ. სამტრედიის ფოსტა-დეპეშის განყოფილების მოხელე ალექსანდრე დიმიტრის ძე სანიკიძე, რომელიც მოკლე ხნის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ბათუმში, სადაც საქიმოდ იყო წასული. მისმა ასე უდროოდ სიკვდილმა ყველა მისს ნაცნობს თავზარი დასცა, ყველას აუდუღა გული, მწარე ცრემლები დააღვრევინა. ორი წელია, რაც სამსახურში იმყოფებოდა და ამ ხნის განმავლობაში თავის კეთილის გულით და სიმშვიდით დაიმსახურა სიყვარული და პატივისცემა, როგორც მისის უფროსისა და ამხანაგების, აგრეთვე მთლად ჩვენი რიონ-გაღმის კუთხის მცხოვრებთა. ვინც კი მივიდოდა ფოსტაში, იყო დრო, თუ არა, ყოველთვის დაუყოვნებლივ მიაქცევდა მთხოვნელს ყურადღებას. ზოგიერთ ფოსტის მოხელესავით არ ეტყოდა, «მერმე მოდი, ეხლა დრო არ არისო». აი ამიტომ შეაწუხა ყველა.

გლეხი ბზვანელი.

—

# ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ს.

I.

ჩვენმა მამებსა მთელ ჩვენს წარსულში
თავისი სისხლით რწყეს მთა და ველი,
რომ დაეფარათ ტურფა სამშობლო,
რომ არ მოესპოთ ქართველთ სახელი.

თვისი მიზანი, ის მისწრაფება
ჩვენ გვიანდერძეს... გვევედრენ ჩვენა,
რომ ვემსახუროთ ერის დიდებას,
ვამკოთ, ვადიდოთ სამშობლო ენა!

ჩვენ კი რას ვშვრებით?... ვფიცავ, არ ვიცი,
დღეს ჩვენ «ქართველი» რად გვეწოდება,
როს დავივიწყეთ ენა ქართული—
და სულაც გული არ გვეკოდება!..

ენა აშვენებს ადამიანსა,
ენით ირჩევა ერისგან ერი...
როს დედა ენით ვიტკბობთ გულს, სმენას,
მხოლოდ მაშინ ვართ ჩვენ ბედნიერი!

განა ერთია, რა ენაზედაც
უნდა ვისმინოთ მგოსანთ ქმნილება?!
ვერც ერთი ენა, თვით უმდიდრესი,
დედა ენას ვერ შეეცილება!

მის საშვალებით სიტყვა და გრძნობა
ძარღვში მიშხუის, ვით ნაკადული!
გვიჩქროლავს სისხლი, გვიერჟოლავს ტანი,
ციური შვებით გვიტოკავს გული? ..

და იცით, ძმებო, სამშობლო ენით
განსხვავებულად რათ სტკბება სმენა?
—ამის პასუხი თვით სახელშია—
რომ ეწოდება მას «დედა ენა»!

მშობელი დედა სიყვარულითა
საყვარელ ძუძუს როს გვაწოვებდა,—
ტკბილს, მხიბლავ გრძნობებს წვეთ-წვეთად სისხლში
გვიშვებდა, გულში ღრმა კვალს სტოვებდა.

გრძნობით ნანინას გვეუბნებოდა,
ხშირად გვითევდა მთელ ღამეებსა,
და ტკბილი კოცნით, ხვევნით, ალერსით—
გულში გვაწვდენდა მშობლიურ ხმებსა!...

და იგივ ხმები ტოლ-ამხანაგმა
და მთელმა ერმა მრჩობლად გვიმღერეს—
და მთა ბარ-ტყეთა წმინდა ჰაერით
განსხვავებული სული ჩაგვბერეს..

II

«რის დედა ენა! რის ეროვნება!
კაცობრიობას გაუმარჯოსო!
გაერთიანდნენ ხალხნი, ენები,—
ცხოვრებისათვის ერთობა სჯობსო!».

შემცდარი აზრი!.. ოხ, ღმერთო,
რა გულსაკლავი გასაგონია!
ამისა მთქმელი, ასე მოაზრე—
ჭკუაში მყოფი მე არ მგონია.

შეხედონ ცასა:—მას რა აშვენებს?
—არა მარტო მზე გაბრწყინვებული,
არამედ მთვარეც და ვარსკვლავებიც,
აქა-იქ გუნდ გუნდათ ჩამწკრივებული!

ზოგი კაშკაშობს, ზოგი ძლივს ბჟუტავს,
ხან მიიმალვის, ხან გამოჩნდება...
და ყველა ერთად ახარებს სულსა,—
თვალი ერთობა და გული სტკბება!

და დედამიწა რით ხიბლავს თვალს, გულს?
რით არის სულის გამხარებელი?
—მით, რომ ერთმანეთს მისდევს ბორცვკორდი,
მინდორი, ჭალა. ტყე, მთა და ველი...

აი მწვერვალი ცაში ასული,
კლდიან-თოვლიან-ყინულიანი!
ძირს ყვავილები ფერად-ფერადი,
ტურფად გაშლილი ვარდნი, იანი...

აგერ გიჟმაჟი მოქუხს მდინარე,
მობღავის მთებში, ლოდებს აგორებს!..
აქ მოჩუხჩუხობს, მოცელქობს წყარო,
მოწამლულ გულსა შავ ფიქრს აშორებს!..

დიახ! ბუნება მრავალ ფერობით
არის დიადი და მშვენიერი!
ესვე ადიდებს კაცობრიობას:
სხვა და სხვა ენა, სხვა და სხვა ერი!

მაშ—გაუმარჯოს კაცობრიოპას,
თან ყველა ერის, სამშობლო ენას!
და თქვენც, მოძმენო, ნუ დაივიწყებთ
თქვენს ენას, თქვენს ერს! ნუ, ნუ, თქვენს ლხენას!

სილოვანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალატოზების სიმღერა

(ლექსი პროზად)

(უძღვნი იულის დ—ძეს).

არა უშავს რა,—ჩვენ დავათავებთ იმ სახლს დიდებულს, რომლის შენებას ასე მედგრად ჩვენ შევუდექით,—სილა და კირი ბლომად არის დამზადებული რომ ქვები ერთად მაგრად მტკიცედ შევაკავშიროთ საძირკველს ძლიერს, კედლებს მაგარს უმალ ავიყვანთ, სახლს გადავხურავთ,—წვიმის წყალმა არ გაატანოს, რომ ოჯახი თავისუფლად იქ შეეფაროს და ცხოვრებაცა ხელსაყრელი იქ გაატაროს...

ძველსა შენობას საფუძველი მთლად დალპობია, კედლები ხავსით შემოსილა და სახურავიც მთლად აპირობს ჩამოქცევასა. ვერც ქარიშხალსა, მწვავე სუსხით შეზავებულსა, ვერც წვიმის ღვარსა, წასალეკად გადმონთხეულსა ვერ იკავებს მეტსა ნაწილს ამ უბედურის ოჯახისა ბედკრულთა შვილთა. მეტად შეწუხდნენ, შევიწროვდნენ და შეიხუთნენ; ზოგი შეიქმნა ქარიშხალის სასტიკის მსხვერპლი, ზოგი ნიაღვარს ვერ გადურჩა გამწარებული, ზოგიც შეხუთულ ჰაერითა მთლად მოწამლულა. ყველა საერთოდ ძველის სახლით არს დატანჯული.

მაშ, ძმებო, მარჯვედ, გმირულადა შეუდგეთ საქმეს; ზოგმა ქვა ვზიდოთ, ზოგმა-სილა და ზოგმა—კირი; ზოგმა ვაშენოთ, ზოგმა ვზიდოთ, ზოგმა ქვა ვთალოთ, ყველამ საერთოდ ამ შენობას შეუწყოთ ხელი, კარგს საფუძველზე, უშიშარზე, მეტად ძლიერზე ამოვიყვანოთ განიერი დიდი კედელი, კარით—ფანჯრითაც საკმაოდ ფართო, რომ ჩვენი სახლი კარგად იქმნას განათებული, სახურავითაც კარგად იყოს ის შეხურული:—ვერას გვაკლებდეს ვერც ავდარი, ვერც ღვარ ნამი, ცით წამოსული, ვერც ქარიშხალი მწარე სუსხით შეზავებული და ვერც სხვა რისხვა, ბუნებისა მოვლინებული.

იქ უტანჯველად, თავისუფლად ამოვისუნთქებთ, ჩვენთვის ცხოვრება შეიქნება იქ ხელ-საყრელი.

მაშ, ძველი სახლი კედლებითა დახავსებულით, შიგაც ბნელითა ჰაერითა, მომწამლველითა, სახურავითა უვარგისით, დაქცევისა მომუქარეთ და საძირკვლითაც საშიშარი გამოუდეგი შეუბრალებლად, გაბედულად გავკიცხოთ, დავგმოთ და სანეტარო ცხოვრებისთვის დავსთრგუნოთ, დავსცეთ ძირს სამუდამოდ.

სოსიპატრე მთაშველი.

## გ ლ ო ვ ა.

გაზაფხულისა ლოდინში
გულ-დალეული ჩიორა
მწუხარედ დანაღვლებული
მოსთქვამდა, მწარედ ჩიოდა:
განთიადს ველოდებოდი
დიდხანს ბნელაში მყოფელი,
მსუსხავ ზამთრისგან გათოშილს
შემზიზღდა შემქმნელ-მშობელი!
ოცნებით აღმაფრენილი
ველოდი ტურფა გაზაფხულს,
ბუნების გამცოცხლებელსა,
საამოდ აფერადებულს,—
როდესაც ყველა არსება—
უტყვი და ენა-მეტყველი,
სიამით აღივსებოდა,
ღაღანს იწყებდა ტყე-ველი...
მაგრამ სურვილი გაცუდდა,
მიმუხთლა ბედის წერამა,
ველარ მაღირსა მოლხენა
ბუნების ჩანგის ჟღერამა!
ზამთრის გრიგალმა დამქროლა,
ფრთები შემკვეცა ოცნებას,
წყვდიადი დამისადგურა,
ძალა მოაკლო ჩემს ნებას!..

***

ძე ადამისა ამღვარა,
ტანჯული,—ბედის მძებნელი,
მაღლა ახედვას უშლიან—
მონად დარჩიო მზე-ბნელი!
ასტირებია მშობელი,
ასტირებიან ბალღები,—
თავის-უფლების მძებნელსა
არვინ ჰყავს კარის გამღები.

***

ზამთარმა დაულეველმა
ჩააჭკნო ნორჩი კუკური,
ძარღვებში სისხლი გათოშა,
ხმა აღარ ისმის ზევსური.
საშველად იწვდის ხელებსა
ხალხი დევნილი, ჩაგრული,—
შორიდან ტანჯულ-წამებულს
დაჰწყლულებია მხნე გული!

***

თითქო მზე არ სჩანს, მისს სხივებს
დააკლდა ძალა ცხოველი,
წყალ-ჩადგომილი ხეხილი,
მშობელ მიწისა მწოველი,
ზამთრისა სუსხმა დააზრო,
არ იქნა აღარ ახარა,
ყინვას დაუთმო სამეფო,
წყვდიადად დაასამარა;
ღამის მოტუსოს მინდორი,
რაღა ქნას გუთნის დედამა,
რაღა ჰქმნას მხვნელმა მთესველმა,
გული აუვსო სევდამა!—
ვაჰმე, რა ცუდი ყოფილა
ამაგის განადგურება;
არად ჩაგდება შრომისა,—
უღირსთგან დასაბურება!..

***

ქარი ჰქრის... არე მარესა
სიკვდილი ასევდიანებს,
ოდნავ მომქმედსა სულდგმულსა
ძალა ჰფლობს, ამგლოვიარებს.
სული სწუხს, გული ღონდება,
ვეღარ ვსჭვრეტ სადმე სიამეს,
ყინვა-წყვდიადში ჩაფლული
გულს შვება აღარ მიამებს...
და ველი ტურფა გაზაფხულს
ზამთრისგან შეწუხებული,
მასთან განთიადს ბრწყინვალეს,
წყვდიადით გარე მოცული!..

იზიძე.

## დიდის ხნის ფიქრი.

(წერილი რედაქციის მიმართ).

პავლე მოციქული ამბობს: «კეთილი საქმე ჩქარა აღასრულეო, თორემ ხანმა თუ გაიარა, ეშმაკი დაგაბრკოლებთო».

სწორეთ რომ მართალია.

ხშირად ვკითხულობთ გაზეთებში, რომ ამა და ამ სტუდენტს ფული უჭირს და დახმარება უნდაო; ამა და ამ შეგირდს სწავლის ფული აქვს შესატანი და თუ ამ დროს არ შეიტანა, სასწავლებლიდგან დაითხოვენო; ესა და ეს ქვრივი ადამიანი ამდენი ხანია ლოგინად არის ჩავარდნილი და გარს ახვევია ოთხი—ხუთი მცირეწლოვანი ბავშვები და ლუკმა-პური არა აქვთ საბრალოებს, რომ ჭამონო და სიცივით ცალკე იხოცებიანო; ამა და ამ საქმისთვის ფონდი უნდა დავაარსოთო, ესა და ეს კაცი ღირსი იყო და მოვალენი ვართ ძეგლი დავადგათო; ესა და ეს საზოგადოება არსდება და იმედია ყველა ჩვენგანი სიხარულით მიეგებება. იქ ათონის მთაზედ საწყალი ჩვენი მცირე ძმანი უწყალოდ იხოცებიან ბერძენთა ბერების გადამკიდე და ფული არა აქვთ იმდენი, რომ სამი ვერსის მანძილზედ მილით წყალი მოიყვანონ მონასტერშიო და მრავალი სხვა...

ვინ იცის, რომელი ერთი მოვთვალო რამდენი საქველ-მოქმედო სიქმეა. გაზეთი ცალკე სწერს და კერძო პირები ცალკე, ერთი სიტყვით სალოდაობით ივსება კაცი, როდესაც ამ ნაირებს შეხვდება გაზეთებში და ძალა უნებურად ამბობს: ახ! რატომ არა მაქვს მრავალი სიმდიდრე, რომ ავილო და მივცე საკუთრივ მეო. აი მე თვით ამ სტრიქონების დამწერს არც ერთი სიქველ-მოქმედო, ანუ საზოგადო საქმეზედ არ წამიკითხნია წერილი გაზეთში, რომ გული არ ამდუღებოდეს და არ მეთქოს—არა, უეჭველად ცოტა იქნება, თუ ბევრი, უნდა მივაწოდო რამ და შეძლებისამებრ შევეწიო მეთქი. ახლა მეორეს წავიკითხამ, იმაზედაც ვიტყვი:—იქაც უნდა გავგზავნო მეთქი. მესამეს—იქაც მეთქი. გაივლის ერთი დღე, ორი დღე, სამი, თვეები და ბოლოს წელიწადიც, რომ თქვენც არ მომიკვდეთ მეარავის არა მივაწოდო რა. სადა მაქვს, რა უნდა გაუგზავნო მეთქი და უბრალო რამისთვის კი მარდად ვიშოვნი. აი სწორედ აქ სრულდება პავლე მოციქულის სიტყვა. იმ მინუტში, როდესაც ვკითხულობ გაზეთს სულითა და გულით მინდა შევეწიო და იმ დროს რომ ვინმე იყოს და მთხოვოს ამოვიღებ და მაშინვე გადავცემ ჩემს წვლილს, მაგრამ გაივლის ხანი, გული გაგრილდება და ყველა დამავიწყდება. აღარავის ჭირი, აღარავის მწუხარება და არაფერი საზოგადო საქმე აღარ მაგონდება.

მე ვგონებ, თუ არ ვცდები, ასეა ყველანი, თორემ თუ ასე არ იყოს, მაშ რად მიდის ჩვენში ყოველი საზოგადო საქმე და ყოველის ქველმოქმედება კუს ნაბიჯით?

მე დარწმუნებული ვარ, რომ ყოველმა ჩვენგანმა კვირაში ერთი შაურიც რომ გამოიღოს, ბევრს არ ვიტყვი, საზოგადო საქმისთვის, იმდენი შესდგება, რომ თავისუფლად რასაც გინდა იმას გააკეთებ. რაც შეეხება მდიდრებს, ესენი ხომ შაურის მიცემას არ იკადრებენ და თუ კი მანეთები და თუმნებიც იქნება, მაშინ ხომ ბედნიერნი ვიქნებით და ვიქნებით. მგონი ჩვენს ბედს ძაღლი აღარ დაჰყეფს,

აი ამისთვის, მე გადავწყვიტე და ჩემი თავი ასრე დავაკონონე, რომ პირველ იანვრიდგან 1905-ის წლისა, უნდა დავიდგა ჩემს მაგიდასთან თვალ წინ ერთი ყულაბი, დაბეჭდილი ჩემ მიერ, ჩემისავე საკუთარის ბეჭდით და არა ვისგანმე იძულებით და ზედ შემდეგის წარწერით:

„კეთილი საქმე ჩქარა აღასრულე თორეი ხანი გავიდა ეშმაკი დაგაბრკოლებს" და რამწამს გაზეთში წავიკითხამ რამეს, რომ ამა და ამას უნდა მივაწოდოთო, ან ამა და ამისთვის საჭირო არის შემწეობაო, ან თვითონაც მე მსურს ვისთვისმე რამე შემწეობა, მაშინვე ჩემი წვლილი შეძლებისა და გვარად იმ ყულაბში უნდა მოვაქციო. წლის ბოლოს გავხსნი ამ ყულაბს და, რაც აღმოჩნდება შიგ, უკლებლივ გადავცემ იქ, სადაც კი ჩვენი გულშემატკივარი საზოგადოება მიბძანებს.

თუმცა აღნიშნულ პირთ, ანუ საქმეს ვერ მივაწვდი იმ დროს, როდესაც აღნიშნულნი იქმნებიან გაზეთში, მაგრამ სააგიეროდ მეორე წლისთვის მიეცემა იმ. მფულს თავისი გზა დანიშნულისამებრ ასე რომ, პირველის წლის შემოსავალი მოხმარდება მეორე წელს, მეორისა მესამეს და ასე ამ რიგად წავა საქმე. რასაკვირველია, მარტო ეს ჩემი წვლილი რას იზამს, თუ მრავალიც სხვა არ იქნება მიმბაძავი. თორემ თუ ასე არ ვქენი, მე არც სულს ვარგივარ და არც ხორცს, მთელის წლის განმავლობაში სიტყვით ყველგან ვაწვდი შემწეობას და წლის ბოლოს ვუცქერი და საქმით არაფერია.

დასასრულ ვსთხოვ ყველას—დიდსა და პატარას, მდიდარს და ღარიბს, ნასწავლს და უსწავლელს, ქალსა და კაცს, ნაცნობს და უცნობს, მეგობრებს, მღვდლებს, ბერებს და ერს და ერთობ ყველა ქართველთა, რომ ამ ნაირი ყულაბები დაიდგან ყველამ და, აბა, ვნახოთ, თუ რამდენი მოგროვდეს წლის ბოლოს, თუ გინდათ ეს ერთს წლით მაინც სცადეთ და ვნახოთ, რა იქნება.

მერე როგორი წახალისება იცის კარგმა მოსავალმა!!

მდვდელ-მონაზონი ტარისი.

# რ უ ს ე თ ი

ამ ბოლო დროს მთავრობამ რუსეთში ბევრს მისცა ნება ჟურნალ-გაზეთების დაარსებისა.

— სამოსწავლო უწყებამ გამოსცა ცირკულიარი, რომლითაც ოდესის გიმნაზიებისა და რეალურ სასწავლებლის მოწაფეთ ეკრძალებათ «გასართობ ადგილებში» სიარული. გასაკვირი ის არის, რომ „გასართობ ადგილებად" დასახელებულია ცირკულიარში: რესტორანები, ყავახანები, დუქნები, საზოგადო ბიბლიოთეკანი, საზოგადო კითხვათა კაბინეტები და სხვ. ცხადია, ცირკულიარის შემდგენელნი ერთსა და იმავე მნიშვნელობას აძლევენ დუქნებსაცა და საზოგადო ბიბლიოთეკებსაცა (რ. ვ.).

— ცნობილს პედაგოგს ვ. პ. ვახტეროვს, რომელსაც აკრძალული ჰქონდა საზოგადო მოღვაწეობა და პოლიცია მუდამ თვალ ყურს ადევნებდა, დაუბრუნდა უფლებანი (რ. ვ.).

— სახელ-განთქმულ რუსის მხატვრის ვერეშჩაგინის ქვრივმა განსვენებულ მეუღლის სამხატვრო ნივთები და სახელოსნო მოწყობილება შესწირა ალექსანდრე მეორის რუსულ მუზეუმს. მუზეუმმა არ მიიღო ეს შეწირულება (რ. ვ.).

— მკითხველთ უწყიან, რომ გენერალმა კოვალიოვმა ყაზახებს აცემინა ექიმი ზაბუსოვი. ეს ინციდენტი განიხილა პიროგოვის ექიმთა საზოგადოების გამგეობამ და საჭიროდ დაინახა დახმარება აღმოუჩინოს ექიმს ზაბუსოვს სასამართლოში საქმის წარმოების დროს. ჯერ-ჯერობით გამგეობამ თანაგრძნობა გამოუცხადა ზაბუსოვს და ამასთანავე სთხოვა, საქმის გარემოება გვაცნობე და ისიც, თუ როგორი დახმარება გესაჭიროებაო. (რ. ს.).

— კურსკის საზოგადო კლუბში დანიშნული იყო ბანკეტი. 800 ბილეთი კიდეც გაიყიდა, მაგრამ კლუბის ადმინისტრაცია მოულოდნელ გარემოებათ გამო, იძულებული გახდა კლუბის დარბაზი აღარ დაეთმო ბანკეტისათვის. საგუბერნიო საერობო გამგეობამაც არ დაუთმო ბანკეტის გამმართველთ დარბაზი. (რ. ვ.).

# თეატრი და ხელოვნება

**ოზურგეთი:** 18 დეკემბერს, საქალაქო კლუბის დარბაზში, სცენის მოყვარულთა-მიერ, ქალაქის მოურავის ბ-ნ ვ. ხუნდაძის გამგეობით, გაიმართა წარმოდგენა (კერძო დედათა პროგიმნაზიის სასარგებლოდ). ითამაშეს ა. ცაგარლის „ბაიყუში". მონაწილეობას იღებდნენ ქ-ნნი: ევ. წუწუნავა, დ. ჩიგოგიძისა, ბ-ნი კ. ბებურიშვილი, ს. ხურციძე, გ. მამულაიშვილი. ეს მრავალ ჯერ აქ ნაცოდვილევი ფარსი გვარიანად ითამაშეს. განსაკუთრებით „ყურადღება მიიქცია" ბ-ნმა ხურციძემ (რევაზ) თავის საშინელ ყვირილით, რომლის დროსაც დარბაზის ჭერს ზანზარი გაჰქონდა. წარმოდგენის შემდეგ სცენაზედ სთქვეს რამდენიმე გურული სიმღერა აქაურმა მომღერლებმა. დასასრულ გაიმართა რუსული და ევროპიული «ცეკვა», თუმცა ცეკვას არ ჰგავდა! უკრავდა სამოქალაქო სკოლის მოწაფეთა მუსიკა.

საზოგადოება ბევრი დაესწრო წარმოდგენას.

შ. ა.

## „ივერიის" ფოსტა

**ქართლელ-მეზრელს.** თქვენი სიტყვა არ დაიბეჭდება. უხერხული საქმე გამოდის როგორღაც. ნუ გვიწყენთ.

**მ. ზ—ას.** «კოლხიდის ელეგიები» არ დაიბეჭდება.

**ბ—ი. კ. გ—ძეს.** თქვენი ლექსები დაიბეჭდება. ალაგ-ალაგ „მოიპროზებს", მოიდიდაქტიკებს, მაგრამ ლექსები საზოგადოდ აზრიანებია და სამოქალაქო მოტივით გამსჭვალული. რაიცა შეეხება თქვენს კერძო წერილს, რომელსაც საზოგადო მნიშვნელობა აქვს და გულ-წრფელობით არის აღსავსე, მაგაზედ მოლაპარაკება სხვა, უფრო დამშვიდებულ დროსთვის გადავდოთ. ახლა-კი ნება გვიბოძეთ დიდი მადლობა გადამიხადოთ გულ-ახდით და თანაგრძნობით სავსე წერილის მოწერისათვის.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

## დილის დეპეშები.

23 დეკემბერი

**პეტერბურგი.** წყნარ ოკეანეს ფლოტის სარდალი ვიცე-ადმირალი სკრიდლოვი დაინიშნა საადმირალო საბჭოს წევრად.

**მუკდენი.** (საკ. კორესპ.) ამ ბოლოს დროს კორეაში დიდი პატრიოტული მოძრაობაა. შესდგა პოლიტიკური საზოგადოება, რომელსაც აზრად აქვს კორეას დამოუკიდებლობა. იაპონიის მთავრობის მოთხოვნილებით ამ საზოგადოებას მალე დაითხოვენ.

**მანილლა.** (რეიტერი). ერთი იაპონიის კრეისერი დათარეშობს სან-ბერნარდინას სრუტეში. დღეს იაპონიის კრეისერი მიუახლოვდა მანილის ნავთსადგურის შესავალსა.

**ვენა.** ადმირალი შპაუნი წავიდა პარიჟს გულის საქმეში მონაწილეობის მისაღებად.

**ტოკიო.** (რეიტერი). დამატებითს შეთანხმების ქაღალდში, რომელიც შეადგინეს რუსებმა და იაპონელებმა პორტ არტურის დათმობის გამო, ნათქვამია, რომ სამოქალაქო მოსამსახურე პირთ, რომელთაც არ უმსახურნიათ თავისუფალ მეომრად, გაანთავისუფლებენ და პატიოსან სიტყვას ჩამოართმევენ.

**ვეიხაივეი.** (რეიტერი). იაპონელებმა უარი უთხრეს ინგლისის კრეისერს „ანდრომედას", რომ მიეტანა სურსათი და საექიმო მასალა პორტ არტურში და გამოუცხადეს, ჯერ არ გვიპოვნია რუსებისაგან ჩაწყობილი ნაღმებიო. კრეისერი ვეიხაივეის დაბრუნდა.

**სტამბოლი.** მონასტერის ვილაიეტში ბოლგართა ბრბო, ათასის კაცისაგან შემდგარი, ამოხოცეს.

24 დეკემბერი.

**პარიჟი.** ბალტიის ესკადრის ზღვაში გასვლის შესახებ იაპონიის მთავრობას საფრანგეთთან მოლაპარაკება ჰქონია ამ ორი თვის წინ, როდესაც რამდენიმე კონტრ-ნაღმოსანი რუსისა შერბურგს მისულა. იაპონიის პარიჟელ ელჩს მოტანოს ბაასი ჰქონია დელკასესთან. საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრის ლაპარაკმა სრულიად დააკმაყოფილა იაპონელები. დელკასემ სთქვა ამასთანავე, რომ საფრანგეთის ნავთ-სადგურებში და კოლონიებში მყოფ მოხელეებს გაეგზავნათ იმისთანავე ინსტრუქციები, როგორითაც ხელმძღვანელობდნენ საფრანგეთის მოხელენი ესპანია—ამერიკის ომის დროსაო.

**ტოკიო.** (რეიტერი). დამატებითი კონვენციის ძალით უნდა დაინიშნოს ზედამხედველი კომისია აღსასრულებლად ციხის დათმობის პირობებისა; იქვე მოხსენებულია, როგორ უნდა მოეპყრნონ რუსის ტყვე აფიცრებს და ჯარის-კაცებს კომისიის წევრნი. შეთავსდებიან მომავალ სამშაბათს პეიჟანის მთის ძირას შუადღისას. რუსის ხმელეთის და ზღვის აფიცრები მოვლენ იმ წეს-რიგით, რომელსაც უჩვენებენ იაპონელნი. კონვენციაში წინადვე მოხსენებულია, აფიცრებს და მოსამსახურე პირთ უფლება აქვთ იარაღით გავიდნენ, ჯარის-კაცს კი იარაღი უნდა აეყაროს. ისინი, ვინც საჭიროა ციხისა, შენობებისა და სამხედრო გემების ყურის საგდებად, დარჩებიან პორტ არტურში და განსხვავებული ნიშანი ექნებათ. თავისუფალ მეომრებს და მოხელეებს, რომელთაც ოთხშაბათს ცხრა საათს შემდეგ იარაღი ექნებათ, ან დანიშნულს ალაგას არ იქნებიან, მოეპყრობიან ისე, როგორც იაპონელები დაინახავენ საჭიროდ. კერძო საკუთრებას, რომელიც რუსის აფიცრებს თან ექნებათ დანიშნულ ალაგას, გაშინჯავენ და ბარგის წონას შეამცირებენ. კონვენციაში ნათქვამია საავადმყოფოების გადაცემის შესახებ, აგრეთვე იმ უპირატესობაზე, რომელიც იმათ მიეცემათ, რომელთაც ომში მონაწილეობა მიუღიათ, სახელდობრ თავისუფლებაზე და კერძო საკუთრების გადაზიდვაზე. შეღავათი მიეცემათ აფიცრებს და მოხელეთა სახლობების წაყვანის დროს. ამასთანავე იაპონელებს უფლება აქვთ, გააძეონ იმათთვის არასასურველნი პირნი. დასასრულ კონვენციაში მოხსენებულია ტყვე-იაპონელების განთავისუფლების შესახებ.

## საღამოს დეპეშები

**ბაქო,** 23 დეკ. მუშების გაფიცვა ჯერ არ მოსპობილა. დღეს ბალახანაში მუშებსა და ყაზახებს შეტაკება მოუვიდათ. მოკლეს 6 მუშა და 1 ყაზახი. დაჭრილი ბევრია,

**პორტ არტური,** 23 დეკ. (რეიტერი). იაპონელებმა დიდი ფორტები წესიერად ჩაიბარეს. აღმოჩნდა, რომ ყველაფერი, რის გაფუჭებაც კი შეიძლებოდა, რუსებმა გააფუჭეს. სახლები დანგრეულია. ზოგი ზარბაზანიც გაფუჭებულია. სტესელი თავის შტაბით ჯერჯერობით პორტ არტურში დარჩება.

**ტოკიო,** 23 დეკ. (რეიტ.). პორტ არტურთან რუსებისა და იაპონელების ზარალი ჯერ გაურკვეველია. დაჭრილთა და ავადმყოფთა უმეტესი ნაწილი ჭრილობის შეხვევას ჯერ ვერ იტანს. იაპონელებს სურსათი და წამალი მოაქვთ. იმედი აქვთ, რომ დაჭრილებს ათასობით მოარჩენენ. ამოდენ ტყვეების შენახვა ძნელია. შესაძლებელია, რომ იაპონელებმა ტყვეები რუსეთში დააბრუნოს. ამ საქმეს უკვე არჩევენ.

**ტოკიო.** ამბობენ, რომ მიკადოს სურვილით ნოგი დარწმუნდება ტოკიოში, სადაც დიდის ამბით უპირობენ დახვედრას: იაპონიის საზღვაო აფიცრებმა პორტ არტურში ჩაძირული გემები ჯერ არ გასინჯეს. რუსებმა დოკის შესავალი შეჰკრეს: შიგ გემი «ამურ»-ი შეიტანეს და ისე ააფეთქეს, რომ გემი გარდიგარდმო ჩაიძირა. დოკის კარებიც აფეთქებულია. გუშინ იაპონელებმა ჩაიბარეს საზღვაო არსენალი და ათი პატარა გემი, რომელიც კიდევ გამოდგება. დანარჩენი გემები ჩაძირულია. იაპონელები მიიღებენ თუ არა შესაფერ რუკებს, მაშინვე ნაღმების ამოღებას შეუდგებიან. მთავარმა შტაბმა ნოგის შემდეგი დეპეშა მიიღო: «როგორც გაუწყეთ, 22 დეკებერს ის ნივთები ჩავიბარეთ, რომელიც ხელშეკრულების მეორე

მუხლშია აღნიშნული. ყველა ბატარეია და ფორტიც ჩავიბარეთ. ტყვეები დანიშნულს ადგილას 23 დეკემბერს შეიკრიბებიან. იმათი დაყოფ-დანაწილება იმდენად რთულია, რომ დაახლოვებითაც ვერაფერს ვიტყვი. შემატყობინეს, რომ ტყვედ წამოგვიყვანია 8 გენერალი, 4 ადმირალი, 75 პოლკოვნიკი და პოდპოლკოვნიკი, 100 საზღვაო კაპიტანი, 351 სალაშქრო ობერ-აფიცერი, 200 ლეიტენანტი და სხვა საზღვაო მოხელე, 97 სახელმწიფო მოხელე, 109 ექიმი, 20 მღვდელი, 22434 უნტერ აფიცერი და ჯარის კაცი, 4500 მეზღვაური, 3645 ისეთი ჯარის კაცი, რომელნიც ბრძოლაში მონაწილეობას არ იღებდნენ და 500 ისეთი მეზღვაური, რომელნიც ბრძოლაში პირდაპირს მონაწილეობას არ იღებენ. 15 ანუ 16 ათასი ავადმყოფი და დაჭრილია. ამათ გარდა ჩავიბარეთ 100 საჯდომი და 1878 შესაბმელი ცხენი.

**ჩიფუ**. 23 დეკემბერი. (რეიტერი). ჩიფუსა, შანჰაისა, ვეიჰაივეისა, ძინდაოსა და ტიანძინში ავადმყოფნი და დაჭრილნი უნდა დაეწვინათ, მაგრამ საავადმყოფოებში ძალიან ცოტა ადგილი აღმოჩნდა. ჩიფუში 60 ავად მყოფის მიღება შეიძლება. ყველა ამბობს, სანამ ავადმყოფნი იმდენად არ მოკეთდებიან, რომ მგზავრობა შეეძლოთ, მინამდის პორტ არტურში უნდა დარჩნენო, იაპონელებმა შეაგროვეს აუარებელი მუშა პორტ არტურის შეკეთებისა და გამაგრებისათვის. იალუს ნაპირებზედ შეგროვილია აუარებელი ტყე, ცემენტი, ჯავშანი, ფოლადი და სხვა მასალა. ყველაფერი იაპონიიდგან არის მოტანილი. ამას პორტ არტურში გადმოიტანენ და ციხეს გაამაგრებენ. პორტ არტურში იმდენ სამხედრო მასალასა და სურსათს გაგზავნიან, რომ იაპონიის მეციხოვნე ჯარს რამდენიმე წლიწადს ეყოს. იაპონელები ფრთხილობენ, ვაი თუ ერთ დროს რუსებმა პორტ არტურს ალყა შემოარტყანო.

**ტოკიო**, 23 დეკ. (რეიტერი). პორტ არტურის მეციხოვნე ჯარი დღეს პორტ არტურიდგან გამოვიდა და იახუძენას მივიდა. გზის ნაპირებზედ ჩამწკრივებული იყო იაპონიის ჯარი, რომელმაც რუსის აფიცრებს სამხედრო სალამი მისცა. რუსის აფიცრებს მჭრელი იარაღი ჰქონდათ, ჯარის კაცნი კი იარაღ აყრილნი იყვნენ.

**ტაიარტუნი**, 21 დეკ. წუხანდელი ღამე მოუსვენრად გავატარეთ. იაპონელები არ გვერიდებოდნენ, ჩვენ თვალწინ ერთ ადგილიდგან მეორე ადგილას გადადიოდნენ, ხმაურობდნენ და «ბანზაი»-ს ყვიროდნენ. ჩვენებმა სროლა დაუწყეს. იმათაც გვიპასუხეს და რამდენიმე ჯარის კაცი დაგვიჭრეს.

**პეტერბურგი**. გენ. სახაროვის დეპეშა მთავარ-შტაბის სახელობაზედ 23 დეკ. თარიღით: «პორუჩიკის ლევშანოვსკისა და ხორუნჟის გრუნიჩევის რაზმებმა 19 დეკემბერს საღამოს ხაიჩენიდგან 10 ვერსით ჩრდილოეთისაკენ რკინის გზა გააფუჭეს და სადეპეშო მავთულები დაზიანეს. ამ ადგილას ლიაოიანიდგან მომავალი ორთქლმავალი ლიანდაგს გადასცდა. ჩვენმა რაზმმა იაპონელები აიჩოჩქოლა.

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

## გამოსადეგი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**

23 დეკემბერს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,70 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | 37,37 |
| ლონდონში ჩეკები | 94,50 |
| ბერლინში „ | 46,30 |
| პარიჟში „ | 37,60 |
| ბირჟის დისკონტი | 6—7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 89½ ნ. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 87½ ნ. გაყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 421½ ნ. ყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 318 წ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 265 წ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| 4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | 90 წ. გ. |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | 87⅛ წ. გ. |

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

ამ წლის 15 ოკდომრიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

#### ა) ტფილისიდან მიდის:

**ბაქოს**: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 21 წ. (6 ს. 19. წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

**ბათუმს**: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ. (5 ს. 18 წ.). 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.)

**ერევანსა და ყარსს**: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

**ბორჯომს**: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

#### ტფილისში მოდის:

**ბაქოდან**: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.) საქ. და სამგზ. № 17 საღამოს 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

**ბათუმიდან**: საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

**ერევან-ყარსიდან**: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

**ბორჯომიდან:** სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

#### ბ) ბაქოდან გამოდის:

**ტფილის-ბათუმისაკენ**: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5. შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.)

#### გ) ბათუმიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ**: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 3) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

#### დ) ქუთაისიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ**: 1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

### ს ა ა ვ ა დ მ ყ ო ფ ო ე ბ ი:

**ქალაქის სახაზინო საავადმყოფო**,—მიხეილის ქუჩა, სახაზინო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

**ქალაქის სამკურნალო**—მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა უფასოა, ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვიჩი

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი**:

**ავლაბრისა**.—კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტეროვისა. გამგე ექიმი ი. იგიტიანცი.

**კუკიისა**—ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი კ. გძელიშვილი.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

**თვალების სამკურნალო**—კრილოვისა და ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე, სახლი ლიბერმანისა, № 15 (ლიბერმანის სტამბის ზემო სართულში). ავადმყოფთ უფასოდ აძლევენ რჩევას სამკურნალოს გამგე-დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი ექიმი ქალი პუტიატა.

**ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის**—უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე. ბარონ ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

**სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის** საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი —ფასიანი, თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

**გადამდებ სენით ავადმყოფთათვის** უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

**ქალაქის უფასო ღამის თავშე-საფარი სახლები**:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ძელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.


# განცხადებანი

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**ჟ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ აირურგიულ ვადმყოფობისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოღაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 1½—2 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**გ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**პ. ა. არდაზიანი.** აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას. 5 7 საათ.

**ს. ტ. არზანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардяна*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова წლ.

წყნეთის ქუჩის თავში, გაბაშვილის სახლში, საცა მილის წყალის ონკანია გაიმართა

**საგასტრონომიო მაღაზია**

## გერმანია

იყიდება საუკეთესო საუზმეულობა, თევზეული და შემწვარ-მოხარშული ქათამი და ინდოური. შეიძლება შემოკვეთა ინდოურისა დამდეგ ბედნიერ დღეებისათვის.

(5—2)




**მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი**

**„ოდობრინი“ მ. კ. ლებედევის“**

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცსძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—საფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

(0—6—16)

**გამოვიდა და ისყიდება**

ახალი წიგნი

## უცხო სიტყვათა ლექსიკონი

შედგენილი იოსებ იმედაშვილის-მიერ.

წიგნი შეიცავს 1130 გვერდს, დაბეჭდილია სუფთად, კარგს ქაღალდზედ და ჰღირს ერთ მანეთად.

ადრესი: **книжная торговля Іос. Зах. Имедашвили, Георгіевская ул., домъ Арджеванидзе, противъ Александровскаго сада.**

**გ ა მ ო ვ ი დ ა  დ ა  ი ყ ი დ ე ბ ა  ყ ვ ე ლ გ ა ნ**

ახალი გამოცემა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა

## საქართველოს კალენდარი

**1905 წ.**

კალენდარი შეიცავს 620 გვ.—კალენდარი დასურათებულია 88 სურათით.—გარდა სხვა მრავალის წერილისა და ცნობისა კალენდარში მოთავსებულია ვრცელი **სალიტერატურო** განყოფილება შემდეგის შინაარსით: სამშობლოსამდი, ევდოშვილისა.—უცხოეთიდან, მისივე.—ყურყუმალაები, აკაკისა.—გოდება ებრაელთა, მისივე.—სიმღერა, ახოზაძისა.—საახალწლო სურათი, ნ. ნაკაშიძისა.—მადნის მთხრელები, კ. ჯაფარიძისა.—პატარა სიმღერები, დ. მეგრელისა.—სდუმს არე მარე, ახოსპირელისა.—გოდება მაგდალინელისა, განდეგილისა.—ჩემს მეგობრებს, კ. გოგოლაძისა.—მწარე ღიღინი, შ. მღვიმელისა.—ეკალი მისივე.—შილლერი, ი. გომართელისა.—ბატონყმობა ჩვენში.—გლეხების განთავისუფლება.—პ. სპენსერი.—ნ. მიხაილოვსკი.—შორეული აღმოსავლეთის საქმეები.—ქალი და მისი განათლება.—სიონიზმი და სხ.

## ფასი კალენდრისა 70 კაპ.

**გამოვიდა და იყიდება აგრეთვე ყველგან**

1) ვრცელი **კედლის კალენდარი**, ფასი 50 კაპ.
2) ქართულ სიტყვიერების ისტორია, ა. ხახანაშვილისა, ფასი 1 მ. 25 კ.
3) რჩეული ლექსები ქართველ პოეტებისა, წ. II. ფასი 25 კაპ.

## ✦ სადღესასწაულო საჩუქარი ✦

გამოვიდა და ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიაში

**«ქართველ ქალთა წრის»** მიერ გამოცემული

## „ზ ღ ა პ რ ე ბ ი“

წიგნში მოთავსებულია მხატვრის ო. შმერლინგის მიერ დასურათებული ჩვიდმეტი ხალხური ზღაპარი. წიგნი დიდის ფორმატისაა, შეიცავს 160 გვერდს და ღირს 1 მანეთად 30 კაპ.

**საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი**

## „ჯეჯილი“

წელიწადი მეთექვსმეტე

გამოვა 1905 წელსაც თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისთვის და მოზრდილთათვის.

«ჯეჯილში» მონაწილეობას მიიღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მწერლები.

რედაქციასთან დაარსებული კომისია ყოველ ღონის ძიებას ხმარობს ჟურნალის გასაუმჯობესებლათ.

რედაქცია ეცდება ხშირათ ჩაურთოს «ჯეჯილის» ნომრებში ნახატები ფერადი წამლებით და აგრეთვე შეძლებისამებრ მისცეს პრემიათ სხვა და სხვა სასიამოვნო და სასარგებლო წიგნაკები.

ჟურნალი «ჯეჯილი» მიღებულია ტფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავათ.

ჟურნალი «ჯეჯილი» ტფილისში დატარებით ღირს **4** მან. ტფილისს გარეშ გაგზავნით **5** მან. ნახევარი წლით **2** მან. **50** კ. ცალკე ნომერი **50** კაპ.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **ტფილისში**—«წერა-კითხვის გამ. საზოგადოების» კანცელარიაში (**Дворцовая ул, д. Груз. Двор., № 101**), და თვით «ჯეჯილი»-ს რედაქციაში (**Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса**)

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმ.-წერეთლისა.

**ახალი საყმაწვილო ჟურნალი**

## „ნ ა კ ა დ უ ლ ი“

ს უ რ ა თ ე ბ ი თ

**გამოიცემა მცირე წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის**

თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის, პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.

**ჟურნალის ფასი**: ერთად ორივე გამოცემა ღირს წელიწადში 5 მან. ცალცალკე 3 მან., ნახევარის წლით ორივე გამოცემა 2 მან. 50 კაპ.; ხელის მომწერს შეუძლიან თვეში თითო მანეთიც შემოიტანოს. ფასი თითო ნომრისა: მოზრდილთა ჟურნალი—25 კ., მცირე-წლოვან ყრმათა—15 კაპ.

რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩ., **№ 5**, სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურიასი.

**ხელის მოწერა მიიღება**: რედაქციაში, „წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала «НАКАДУЛИ».

ვისაც უნდა დაიკვეთოს 1905 წ.

## კალენდარი (სათვეო)

## „ცოდნა“

**მიჰმართონ სოსიკო მერკვილაძეს.**

✦ კალენდარი ჰღირს ორ შაურად ✦

ვინც ერბაშად ასს ცალზე მეტს იყიდის, კალენდარი დაეთმობა

**ექვს-ექვს კაპეიკად.**

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი, № 12.

ფოსტით: მისამართი Тифлисъ. Книжный магазинъ „ЦОДНА“.

(10—10)


Дозволено цензурою Тифлисъ, 24 декабря, 1904 г. Тип Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи